# ტყიბულის

# მუნიციპალიტეტის

# საშუალოვადიანი

# განვითარების დოკუმენტი

# (2024-2027)

2023 წელი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის(UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში(DGG)" თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტი ხორციელდება საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების მოსაზრებებს.

# შინაარსი


შესავალი ..................................................................................................................................... 3

დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, მოქმედების ვადა ..................................

დოკუმენტის შემმუშავებელი მუნიციპალიტეტი, შემუშავების პროცესი

- უწყება, სამუშაო ჯგუფი, მონაწილე სტრუქტურული ერთეულები და ......................

დაინტერესებული მხარეები.........................................................................................................

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები.............................................

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია

და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან ..........

დოკუმენტის ძირითადი ფასეულობები და პრინციპები ...............................................

დოკუმენტის შემუშავების პროცესი .........................................................................................

დოკუმენტის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა ..............................................................

I თავი- არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

1.1. ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა.................................5

1.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა..........................................................................................9

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა ........................................................................ 15

1.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა ..................................................................... 17

1.5. განათლება, კულტურა და სპორტი................................................................................. 20

1.6. გარემოს დაცვა......................................................................................................................... 29

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა.............................................................. 31

1.8. SWOT ანალიზი ..........................................................................................................................35

II თავი - ხედვა, მიზნები და ამოცანები

2.1 ხედვა…………………………………………………...…...………………………....…......36

2.2 მიზნები და ამოცანები………………………………………………………………..........36

2.3 ლოგიკური ჩარჩო……………………………………….....…...……...……....…...… 38

III თავი - დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

3.1 განხორციელების მექანიზმი………………………………………........……...........42

3.2 მონიტორინგი და შეფასების ჩარჩო…………………………….........…....…...42

IV თავი - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა .................................................................. .44

V თავი - სამოქმედო გეგმა (ცხრილის სახით)........................................................................…...46

# შესავალი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (შემდგომში - დოკუმენტი) არის მუნიციპალიტეტის უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფეროში თუ სფეროებში პრობლემების გადაწყვეტის ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს.

დოკუმენტი არის თვითმმართველი ერთეულის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ის განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომ თვითმმართველი ერთეულის „პრიორიტეტების დოკუმენტის", ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი ხდება.

დოკუმენტი იქმნება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესების ცხოვრებაში გატარებისთვის. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

დოკუმენტი ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეხმარება მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ის ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვითი, გარემოსთან დაკავშირებული და საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას.

დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე, რომლის უმთავრესი მიზანია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რაც მოიაზრებს ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას. აღნიშნული კი მიიღწევა საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობით, რათა ერთობლივად შექმნან უკეთესი პირობები ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

მუნიციპალიტეტის მიერ ამ დოკუმენტის შემუშავებამდე და შემდგომში დამტკიცებული დარგობრივი/სტრუქტურული განვითარების, პრიორიტეტების განსაზღვრელი და საბიუჯეტო დოკუმენტები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ამ დოკუმენტს.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტის ადგილს და მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტებს განსაზღვრავს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს მუნიციპალიტეტების კომპეტენციას.

დოკუმენტის სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის თანახმად „მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს" .

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს შესაბამისი სოციალურ-

ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და განხორციელება. თავის მხრივ, საკრებულო ამტკიცებს მუნიციპალიტეტის სტრატეგიებს, პროგრამებს და ბიუჯეტს.
დოკუმენტი ასევე გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიიდან და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმიდან.
დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #264 განკარგულების - მუნიციპალიტეტის განვითარების სახელმძღვანელოს დამტკიცების გათვალისწინებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) მიერ. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ.
დოკუმენტის პირველადი ვერსია, შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ თუმცა ასევე ანალიზის პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და მისი საჯაროდ განხილვა საკრებულოში წარდგენამდე. დოკუმენტის საჯარო განხილვის და დოკუმენტის დამკიცებამდე მის განხილვაში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის შესაძლებლობას ასევე იძლევა საკრებულოს კომისიებში და სხდომაზე მისი განხილვის შესაბამისი პროცედურა.
დოკუმენტის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან.

დოკუმენტი შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ინკლუზიური, გამჭვირვალე პოლიტიკის პრინციპებზე დაყრდნობით.
დოკუმენტის შემუშავების პროცესი მოიცავს: მერის მიერ სამუშაო ჯგუფის შექმნას, დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის მომზადებას, მის საჯარო განხილვას, საკრებულოში წარდგენას და დამტკიცებას, რომელსაც ასევე თან ახლავს მონიტორინგის და შეფასების გეგმა.
დოკუმენტი 5 ძირითად თავს მოიცავს:

- არსებული სიტუაციის ანალიზი.
- ხედვა, მიზნები ამოცანები.
- დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება განხორციელების მექანიზმი - სამუშაო ჯგუფი და წევრები.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი ასევე მოიცავს ცალკეულ დანართებს, ცხრილებს, ილუსტრაციებს.

# 1. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

## 1.1. ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ზღვის დონიდან 600 – 800 მეტრ სიმაღლეზე და ძირითადად მოიცავს ოკრიბის ქვაბულს. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე 120კმ-ს, მისი საერთო ფართობი კი 478.8 კმ² შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი ფართობის 0.69 %-ია. 2014 წლის აღწერის შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის წილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის (47,800 ჰა) 5.1 %-ს (2441.88 ჰა) უტოლდება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი შედის იმერეთის რეგიონში შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებთან ერთად: ქალაქი ქუთაისი, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ხარაგაული, ხონი, წყალტუბო და ჭიათურა. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქუთაისი. ტყიბულის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ერთეულად, თემებად.

**დემოგრაფია** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით 2023 წლისთვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში 16 800 ადამიანი ცხოვრობს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 0.46%, ხოლო იმერეთის რეგიონის - 3.63%-ია. საქალაქო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი 50.8%-ია (8 600 კაცი), ხოლო სასოფლო დასახლებაში მცხოვრებთა რაოდენობა 8 300 კაცს შეადგენს (49.2%). 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში კაცების ხვედრითი წილი 48.5 %-ს შეადგენდა, ქალების კი 51.5%-ს. მოსახლეობის რაოდენობა ბოლო 5 წლის მანძილზე (2019-2023 წწ.) 10.6 % - ით შემცირდა (2000 კაცი). აღსანიშნავია, რომ სასოფლო დასახლებაში მოსახლეობის კლების მაჩვენებელი (13.5%), საქალაქო დასახლებაში მოსახლეობის კლების მაჩვენებელზე (6.5%) თითქმის ორჯერ დიდია. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კლების ტენდენციით ხასიათდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიმჭიდროვეც ერთ კვ.კმ-ზე (2019წ – 39.3კაც/კვ.კმ; 2023წ - 35.2კაც/კვ.კმ). უფრო კონკრეტულად, კლებამ შეადგინა 10.4%. მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი სიმჭიდროვის მაჩვენებელი - 35.2კაც/კვ.კმ როგორც იმერეთის რეგიონის (72.2 კაც/კვ.კმ), ისე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელთან შედარებით (52.9კაც/კვ.კმ) გაცილებით ნაკლებია.

*ტყიბული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და დასახლებბები*

| N | ადმინისტრაციული ერთეული | ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები |
|---|---|---|
| 1 | **ქალაქი ტყიბული** | |
| 2 | **სოჩხეთის ადმინისტრაციული ერთეული** | სოფელი სოჩხეთი, სოფელი ძმუისი, სოფელი წყნორი, |

| | | |
|---|---|---|
| 3 | გურნას ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი ანტორია, სოფელი ბობოთი, სოფელი გურნა, სოფელი კითხიჯი, სოფელი კისორეთი, სოფელი კორეეთი, სოფელი ნაძვა, სოფელი ციხია, |
| 4 | ჯვარისას ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი ლაშია, სოფელი ლეყერეთი, სოფელი ოჯოლა, სოფელი ხორჩანა, სოფელი ჯვარისა, |
| 5 | კურსების ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი გელათი, სოფელი კურსები, სოფელი მოწამეთა, |
| 6 | ორპირის ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი ზედა ჭყეპი, სოფელი კოკა, სოფელი ლაფეთი, სოფელი მანდიკორი, სოფელი ნაბოსლევი, სოფელი ორპირი, სოფელი ოხომირა, სოფელი ქვედა ჭყეპი, სოფელი შუყერი, სოფელი ჯონია, |
| 7 | ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი ცუცხვათი, |
| 8 | მუხურას ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი მუხურა, |
| 9 | ხრესილის ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი ახალდაბა, სოფელი ბუეთი, სოფელი გადაღმა წყალწითელა, სოფელი გადმოღმა წყალწითელა, სოფელი ივანეული, სოფელი ლეღვა, სოფელი ძუყნური, სოფელი ხრესილი, |
| 10 | საწირის ადმინისტრაციული ერთეული | სოფელი ახალსოფელი, სოფელი ბზიაური, სოფელი დაბაძველი, სოფელი ზედუბანი, სოფელი მანჭიორი, სოფელი სამტრედია, სოფელი საწირე, სოფელი ძიროვანი, |

*ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა ბოლო 10 წლის მონაცემების მიხედვით*

| წელი | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაოდენობა (ათასი კაცი) | 21.6 | 21.2 | 20.7 | 20.3 | 19.8 | 19.3 | 18.8 | 18.2 | 17.9 | 17.2 | 16.8 |

*მუნიციპალიტეტში დაბადებული ბავშვების რაოდენობა წლების მიხედვით*

| წელი | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რაოდენობა** | 321 | 296 | 286 | 272 | 291 | 264 | 260 | 253 | 196 | 181 | 195 | 141 | 165 |

*ცხრილი N4: ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკის და სქესის მიხედვით 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით*

| ასაკობრივი ჯგუფები | კაცი (%) | ქალი (%) | ორივე სქესი (%) |
|---|---|---|---|
| 0-4 | 2.7 | 2.7 | 5.4 |
| 5-9 | 2.6 | 2.2 | 4.8 |
| 10-14 | 2.4 | 2.0 | 4.4 |
| 15-19 | 2.6 | 2.2 | 4.8 |
| 20-24 | 2.6 | 2.1 | 4.7 |
| 25-29 | 3.1 | 2.7 | 5.8 |
| 30-34 | 3.2 | 2.6 | 5.8 |
| 35-39 | 3 | 2.5 | 5.5 |
| 40-44 | 2.8 | 3.0 | 5.8 |
| 45-49 | 3.2 | 3.2 | 6.4 |
| 50-54 | 3.9 | 4.3 | 8.2 |
| 55-59 | 4.2 | 4.3 | 8.5 |
| 60-64 | 3.6 | 4.4 | 8.0 |
| 65-69 | 2.4 | 3.0 | 5.4 |
| 70-74 | 2 | 2.9 | 4.9 |
| 75-79 | 2.2 | 3.2 | 5.4 |
| 80-84 | 1.3 | 2.4 | 3.7 |
| 85+ | 0.7 | 1.8 | 2.5 |
| **სულ** | 48.5% | 51.5% | |

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან 2022 წლამდე შემცირდა 5.9%- ით და გაუტოლდა 1 037 კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას აღნიშნული დროის მონაკვეთში რიცხობრივი მაჩვენებელი შემცირდა 0.8%-ით და 2022 წელს შეადგინა 5 658 კაცი. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 85.3%-ს შეადგენდა.

2019 წლიდან 2022 წლამდე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ტყიბულის მუნიციპალიტეტში 19.4 %-ითაა გაზრდილი. იმავე პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტში გაზრდილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (24%-ით) ისე ინდივიდუალურ მეწარმეთა რაოდენობა (9.7%-ით). 2019-2021 წლის დროით მონაკვეთში 7.4 %-ითაა გაზრდილ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და იგი 2192 კაცს უტოლდება. ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2021 წელს

2019 წელთან შედარებით 36.7 %-ითაა გაზრდილი და 1122.8 ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტში 2021 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორის ბრუნვა 2019 წელთან შედარებით 27.3 მილიონი ლარით (71.5 %- ითაა გაზრდილი). შესაბამისად, იმავე პერიოდში გაზრდილია ბიზნეს სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა(50.2%-ით). 2019 – 2022 წლის დროით მონაკვეთში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა შემდეგი ეკონომიკური საქმიანობის სფეროები:

- **მშენებლობა,** სადაც 2019 წელს 90 სუბიექტი იყო რეგისტრირებული, 2022 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 143 - მდე გაიზარდა(58.8%-ით).
- **დამამუშავებელი მრეწველობა** 2019 წელს 233 სუბიექტით იყო წარმოდგენილი, 2022 წლისთვის კი რაოდენობა 248-მდე გაიზარდა(6.4%-ით).
- **ტრანსპორტი და დასაწყობება** 2019 წელს არსებული 173 სუბიექტი, 2022 წლისთვის 200-მდე გაიზარდა (15.6%-ით).
- **განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები -** აღნიშნული საქმიანობით 2019 წელს რეგისტრირებული იყო 78 სუბიექტი. 2022 წელს კი მათმა რაოდენობამ 88 შეადგინა(12.8%-ით მეტი).

რაც შეეხება ეკონომიკური საქმიანობის კუთხით რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობას 2019 წლიდან 2022 წლამდე მაჩვენებელი 26.4% -ითაა გაზრდილი და 977 შეადგენს. აქედან ყველაზე მოცულობითი საბითუმო-საცალო ვაჭრობისა და ავტომობილების/ მოტოციკლების რემონტის სექტორია და 2022 წელს მისი ხვედრითი წილი 40.7 % -ს შეადგენს.

**წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები** - ტყიბულის მუნიციპალიტეტი ცნობილია ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით. ტყიბულისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი ქვანახშირია. მუნიციპალიტეტს ქვანახშირის მოპოვების დიდი ისტორია აქვს. დღეისათვის მისი მარაგი კი დაახლოებით 3.1 მლნ. მ3-ს შეადგენს.

გარდა ქვანახშირისა, მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში - კურსები, ბუეთი, ცუცხვათი, ოხომირა, კოკა - წარმოებს ტეშენიტის მოპოვება. სოფლები: კურსები, გურნა, ოჯოლა, მდიდარია კერამიკული თიხის ნედლეულით სადაც აქტიურად წარმოებს აღნიშნული რესურსის მოპოვება. კურსებისა და ორპირის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში წარმოდგენილია გრანიტის ქვის საბადოები. მუნიციპალიტეტში კირქვის საკმაოდ დიდი მოცულობაა კონცენტრირებული სოფლებში: გელათი, მოწამეთა, მანჭიორი.

ამჟამინდელი მდგომარებით მუნიციპალიტეტის ტყის ფონდის ფართობი 29,183 ჰექტარს შეადგენს. ტყიბულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ბუნებით. ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია როგორც ვიწრო არეალის კოლხური, ასევე კავკასიური ენდემური სახეობებითა და ჯიშებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებობს სხვადასხვა სახის სამკურნალო წყალი. ბალნეოლოგიური სამკურნალო წყაროებია: კურსებში, ბუეთში, სოჩხეთში, მანჭიორში, მუხურასა და ლეღვაში, ხოლო სასმელი მინერალური წყლებია: ლეღვაში, მანჭიორში, ცუცხვათში, ძიროვანში და სხვაგან. აქედან ხდება მხოლოდ მინერალური წყალის „ლეღვას“ ჩამოსხმა და რეალიზაცია. მუნიციპალიტეტში ხელსაყრელი

პირობაა ენერგეტიკის მხრივ, ტყიბულში მდებარე „შაორჰესი“-ს მიერ წლიურად გამომუშავებული ელექტროენერგია იმერეთის რეგიონში გამომუშავებული ელექტროენერგიის 21%-ს შეადგენს.

მთავარი გამოწვევები ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის დემოგრაფიის, შრომითი და ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით:

1. **დემოგრაფია:**

- მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლება წარმოდგენილი 10.6%-ით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კრიტიკული გამოწვევაა მუნიციპალიტეტისთვის. მოსახლეობის მსგავსი ტემპით შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის სამუშაო ძალის შემცირება, ეკონომიკური აქტივობის შესუსტება.
- სოფლად დასახლებებში მოსახლეობის კლების უფრო მაღალმა ტემპმა შესაძლებელია გამოიწვიოს სოფლების დაცარიელება, სოფლისა და ქალაქის არათანაბარი განვითარება.

2. **შრომითი რესურსები:**

- მოსახლეობის კლება პირდაპირ გავლენას ახდენს სამუშაო ძალაზე. მცირე მუშახელს შეუძლია შეაფერხოს ეკონომიკური საქმიანობა, საინვესტიციო შესაძლებლობები და საერთო განვითარების პერსპექტივები.

3. **ბუნებრივი რესურსები:**

- მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირი და სხვა მინერალური რესურსები გვთავაზობენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს, მათ მოპოვებას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა გარემოზე. ქვანახშირის მოპოვებამ შეიძლება გამოიწვიოს მიწის დეგრადაცია, წყლის დაბინძურება და ზიანი მიაყენოს ეკოსისტემას, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა მდგრადი განვითარებისთვის.
- ტყიბულის დამოკიდებულებამ ქვანახშირის მოპოვებაზე შეიძლება შეაფერხოს მისი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრესი.
- ეკონომიკური ზრდისა და კონსერვაციის დაბალანსება: ბუნებრივი რესურსების სწორად მართვა მოითხოვს ბალანსის დაცვას ეკონომიკურ განვითარებასა და კონსერვაციის მიზნით გაწეულ ძალისხმევას შორის. რესურსების გადაჭარბებულმა ექსპლუატაციამ გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინების გარეშე შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი ზიანი.

## 1.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლიდან 2022 წლამდე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ტყიბულის მუნიციპალიტეტში 19.4 %-ითაა გაზრდილი. იმავე პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტში გაზრდილია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (24%-ით) ისე ინდივიდუალურ მეწარმეთა

რაოდენობა (9.7%-ით). 2019-2021 წლის დროით მონაკვეთში 7.4 %-ითაა გაზრდილ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და იგი 2192 კაცს უტოლდება. ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2021 წელს 2019 წელთან შედარებით 36.7 %-ითაა გაზრდილი და 1122.8 ლარს შეადგენს.

ეკონომიკური საქმიანობის კუთხით რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა 2019 წლიდან 2022 წლამდე 26.4% -ითაა გაზრდილი და 977 შეადგენს. აქედან ყველაზე მოცულობითი საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორია და 2022 წელს მისი ხვედრითი წილი 40.7 % -ია.

აღსანიშნავია, რომ მზარდი ტენდენციით გამოირჩევა ტყიბულის მუნიციპალიტეტში საკუთრების ფორმების მიხედვით რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობაც.

- **კერძო ადგილობრივი საკუთრება** - 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 4 085-ს შეადგენდა. 2022 წლისთვის კი რაოდენობა 4 538-მდე გაიზარდა(11.1%-ით მეტი).
- **კერძო უცხოური საკუთრება** - 2019 წელს რეგისტრირებული იყო 20 სუბიექტი,2022 წლისთვის კი 32(60%-ით მეტი)

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწინებით 2024-2027 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.ტყიბულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მიმართულებით მნიშვნელოვანია ტყიბულში არსებული წიაღისეული. ტყიბულში მოიპოვება ქვახშირი, ტეშენტიტი, გრანიტი და სხვა. მრეწველობის ძირითადი დარგია ქვანახშირის მოპოვება. ტყიბულში მოქმედებს ქვანახშირის მომპოვებელი ორი შახტა და ერთი ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ტყიბულის წყალსაცავი.

დღეისათვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა რჩება არადივერსიფიცირებული და დამოკიდებული მხოლოდ ერთ მსხვილმასშტაბიან აქტორზე - სამთო მოპოვებით (ქვანახშირის) მრეწველობაზე. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის დივერსიფიკაციის აუცილებლობას და მასზე გეგმაში მთავარი აქცენტების დასმის აუცილებლობას ასევე ადასტურებს შემდეგი ფაქტი: შ.პ.ს. „საქნახშირზე" (საწარმოს წილი 2018 წლამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ადგილობრივ შემოსავლებში 64,93%-ია; ბიზნესსექტორში დასაქმებულებს შორის საქნახშირში დასაქმებულების პროცენტული წილი 70,51%), რომელიც სამთო-მოპოვებით მრეწველობას ეწევა. სამთო მოპოვებითი მრეწველობის გამოკლებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მიზერულია.
ეკონომიკის დივერსიფიცირება და მხოლოდ ერთ მეწარმე სუბიექტზე დამოკიდებულების შემცირება, რჩება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების უმთავრეს გამოწვევად.

**სოფლის მეურნეობა** - საბჭოთა პერიოდში წამყვანი დარგი იყო მეჩაიეობა, ფუნქციონირებდა ტყიბულისა და ორპირის, ცუცხვათის ჩაის ფაბრიკები. ამჟამად მოქმედებს ტყიბულის ჩაის ფაბრიკა. ტრადიციულად მნიშვნელოვანი დარგი იყო მეხილეობა, სადაც ძირითად როლს ხრესილის საკონსერვო ქარხანა ასრულებდა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანია. მეტ-ნაკლებად განვითარებულია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, მეფრინველეობა, დაბალ ზონაში განვითარებულია ასევე მევენახეობა, სუბტროპიკული, მარცვლოვანი, პარკოსანი, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურები.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 11,396 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 4,766 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: სათიბი 21 ჰა, საძოვარი, 6,527 ჰა, სახნავი - 3 ,94 და მრავალწლიანი კულტურები - 2,354 ჰა.

მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი პრობლემაა ჩაის კულტურის წარმოების ინფრასტრუქტურის არარსებობა, რის გამოც დეგრადირებულია ჩაის პლანტაციები (980 ჰა). აღნიშნულთან დაკავშირებით ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მანდიკორში უახლესი ტექნოლოგიების და ტენდენციების შესაბამისი, ჩაის გადამამუშავებელი საწარმო აშენდება. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის" ფარგლებში სოფელ მანდიკორში 17.5 ჰა გაველურებული ჩაის პლანტაციას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

საქართველოს ბანკის ფინანსური ჩართულობით შპს „ოკრიბამ" ტყიბულში, 55 ჰ-ზე ჩაის პლანტაციები გააშენა. აგრო პროექტის ფარგლებში, საქართველოს ბანკის მხრიდან მიღებული დაფინანსებით კომპანიამ აგროტექნიკური ღონისძიებები განახორციელა და გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია მოახდინა. გარდა ამისა, კომპანიამ ჩაის გადამამუშავებელი საწარმო ააშენა. დაფინანსების ფარგლებში კომპანიამ შესაბამისი დაზგა დანადგარები შეიძინა, რომლებშიც ჩაის შრობა და დაფასოება ხდება. ჩაის გარდა აღნიშნული დანადგარებით ჩირის წარმოებაც არის შესაძლებელი. კომპანიამ ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა ,,ქართული ჩაი"-ს ფარგლებში სოფლის მეურნეობის

სამინისტროსგან გრანტიც მიიღო. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 1,345,000 ლარი შეადგინა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი რესურსი არსებობს მეხილეობაში, თუმცა წარმოებული ხილის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის რეალიზაცია ხდება. ხეხილოვანი კულტურები მუნიციპალიტეტში არ იწამლება ამიტომ შედარებით სუფთაა ეკოლოგიური თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტში მეფუტკრეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარი თაფლოვანი მცენარეებით, ამიტომ სეზონურად ხდება სხვა რეგიონებიდან ფუტკრის მომთაბარეობა. სულ მუნიციპალიტეტში 4 663 სკა ფუტკარია, 2016 წლისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმოებული იქნა 50 ტონა თაფლი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეისათვის არ ფუნქციონირებს თევზსაშენი, თუმცა შესაბამისი ინფრასტრუქტურის პირობებში არსებობს დიდი პოტენციალი სატბორე მიმართულების განვითარებისათვის. რასაც ადასტურებს კერძო ბიზნესმენთა მზარდი სურვილი, მუნიციპალიტეტში თევზის რეწვისათვის მოიპოვონ შესაბამისი ლიცენზია.

**მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები:**

- ამორტიზებული ჩაის პლანტაციები, რომელთა ჩანაცვლების შემთხვევაში გამოთავისუფლდება 980 ჰა მდე მიწის ფართობი სხვა კულტურების საწარმოებლად;
- პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მინიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

**მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა**

მუნიციპალიტეტში 2021 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორის ბრუნვა 2019 წელთან შედარებით 27.3 მილიონი ლარით (71.5 %- ითაა გაზრდილი). შესაბამისად, იმავე პერიოდში გაზრდილია ბიზნეს სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა(50.2%-ით).

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად მოქმედია 347 საწარმო, რომელთაგან მნიშვნელოვანი ან პერსპექტიული დარგია ქვანახშირის მომპოვებელი შახტები რაც ასევე ზრდის მუნიციპალიტეტში სხვა თანამდევი ეკონომიკური დარგების განვითარების შესაძლებლობას. მოქმედი საწარმოთაგან 2 არის მსხვილი საწარმო,10 საშუალო და დანარჩენი მცირე. ქვანახშირის ბალანსური მარაგი 307 მილიონ ტონას შეადგენს, ხოლო საერთო გეოლოგიური მარაგი კი ერთ მილიარდ ტონამდე აღწევს.

2019 წლიდან 2022 წლამდე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ტყიბულის მუნიციპალიტეტში 19.4 %-ითაა გაზრდილი. იმავე პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტში გაზრდილია

როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (24%-ით) ისე ინდივიდუალურ მეწარმეთა რაოდენობა (9.7%-ით). 2019-2021 წლის დროით მონაკვეთში 7.4 %-ითაა გაზრდილ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და იგი 2192 კაცს უტოლდება. ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2021 წელს 2019 წელთან შედარებით 36.7 %-ითაა გაზრდილი და 1122.8 ლარს შეადგენს, რაც რეგიონის საშუალო მონაცემს 18.9%-ით აღემატება.
მუნიციპალიტეტში 2021 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორის ბრუნვა 2019 წელთან შედარებით 27.3 მილიონი ლარით (71.5 %- ითაა გაზრდილი). შესაბამისად, იმავე პერიოდში გაზრდილია ბიზნეს სექტორის მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა(50.2%-ით).
ეკონომიკური საქმიანობის კუთხით რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა 2019 წლიდან 2022 წლამდე 26.4% -ითაა გაზრდილი და 977 შეადგენს. აქედან ყველაზე მოცულობითი საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორია და 2022 წელს მისი ხვედრითი წილი 40.7 % -ია.

ნახშირის მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებას. ხოლო ადგილობრივი ნახშირის რესურსის გამოყენებით ელ.ენერგიის წარმოების პროექტების თანახმად ნავარაუდევია ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება (მშპ–ს 7–10%–მდე ზრდა, საგარეო სავაჭრო ბალანსის ნახევარი მილიარდი აშშ დოლარით გაუმჯობესება).

ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ჰიდრორესურსებით. მდინარე შაორზე კაშხალის აშენებით შეიქმნა ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც ჩაფლულია ულამაზეს ბუნებაში. ამ წყალსაცავიდან წყალი ნაქერალას ქედის ქვეშ უნიკალური ჰიდრო ნაგებობებით (ჰიდრო გვირაბითა და წყალგამტარი დიდი წნევის მილებით) გაედინება და მიეწოდება ქ. ტყიბულში აშენებულ „შაორჰესის“ ჰიდროელექტროსადგურს, რომლის საპროექტო სიმძლავრე 38.4 მგვტ.-ია, ხოლო საშუალო სიმძლავრე - 28.0 მგვტ.-ია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია გარდა ქვანახშირისა მდიდარია ტეშენიტის საბადოებით, შესაბამისად განვითარებულია მისი მოპოვება და დამუშავება. ტეშენიტის მოპოვება ღია წესით წარმოებს სოფლებში: კურსები, ოხომირა, კოკა, ბუეთი და ცუცხვათი. კურსებში ფუნქციონირებდა ტეშენიტის მოსაპირკეთებელი ფილების დიდი დამამზადებელი ქარხანა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ტეშენიტის გადამამუშავებელი რამდენიმე საშუალო და მცირე სიმძლავრის საამქრო.

ზოგადი შეფასებით ტყიბულის მუნიციპალიტეტი რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტთან შედარებით განვითარებულია ეკონომიკური თვალსაზრისით და წიაღისეული რესურსების გამოყენების დიდი პოტენციალი აქვს. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა არსებული რესურსების გამოყენება და ინვესტიციების მოზიდვა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით, მერიის მხრიდან შესაძლებელია გაკეთდეს ინვესტორებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა.

**ტურიზმი და მომსახურების სფერო** - ტურისტებისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტი შეიძლება იქცეს მიმზიდველ ადგილად, მისი მრავალფეროვანი ტურისტული ძეგლებისა და ორ ცნობილ ტურისტულ ადგილს - ქუთაისსა და რაჭას შორის ადგილმდებარეობიდან

გამომდინარე. დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შესაძლებელია იქცეს მომსახურების სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების არქონა, მიგრაცია ახალგაზრდებსა და შედარებით მაღალი კვალიფიკაციის მოსახლეობაში, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ამ პრობლემების აღმოფხვრისაკენ მიიმართოს მაქსიმალური ძალისხმევა. დარგის განვითარებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას გარემოს დაბინძურებისა და სატყეო ფონდის შემცირების საფრთხეები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული. გარდა გელათისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა სამონასტრო კომპლექსი მოწამეთა. ასევე ჯვარისას, ცუცხვათისა და საწირის ციხეები. გარდა ამისა ტყიბულის ტერიტორიაზე მდებარეობს შემდეგი არქეოლოგიური ძეგლები: ცუცხვათის კარსტული მღვიმე „მაღარა“;

ბუნების საოცრებას წარმოადგენს ცუცხვათის კარსტული მღვიმე „მაღარა“, რომელიც 13 სართულისაგან შედგება. რამდენიმე სართულში წარმოქმნილია სტალაქტიტები და სტალაგმიტები. მღვიმეთა შორის სჭარბობს ე.წ. „თბილი მღვიმეები“, რომლებიც საცხოვრებლად გამოუყენებიათ პირველყოფილ ადამიანებს.მღვიმეში ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები შუა პალეოლითიდან ბრინჯაოს ხანამდე და ისტორიულ ეპოქამდე, აგრეთვე ცხოველთა ორმოცამდე სახეობის ძვლები. ჯერ კიდევ მრავალი საიდუმლოებითაა მოცული ცუცხვათის მღვიმოვანი.

ტყიბულში, გარდა გელათის და მოწამეთას სამონასტრო კომპლექსისა, მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის პერსპექტივა აქვს ცუცხვათის მღვიმოვანს, რომელიც 1974 წლიდან სახელმწიფო ნაკრძალად იყო გამოცხადებული, ხოლო დღეის მდგომარეობით წარმოადგენს დაცულ ტერიტორიებს. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნება ტყიბულისა და შაორის წყალსაცავების ტერიტორია. დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პერსპექტივის მქონეა ძმუისის კანიონი, მუხურის ჩანჩქერი და სხვა ბუნების ძეგლები.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სხვა თანმდევ ინფრასტრუქტურასთან ერთად, ძირითადად ტურიზმის განვითარებაზე მიმართვის შემთხვევაში, დარგის განვითარების პროგრამის შემუშავება და განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოკლევადიანი პერიოდით ჩამოსული ტურისტების ადგილზე დაკავებას, მათთვის გრძელვადიანი, რამდენიმე დღეზე გათვლილი სერვისის შეთავაზებას, ამ კუთხით, ტურიზმის მომსახურების სფეროს

ბიზნესების და შინამეურნეობების განვითარება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. მუნიციპალიტეტში არსებობს შესაბამისი პოტენციალი, საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების სახით - გელათისა და მოწამეთის მონასტრები, ცუცხვათის მღვიმოვანი. მათთან ერთად, ამ ეტაპზე არა ცნობადი, თუმცა განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე, 130-მდე ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი, ეთნოგრაფიული ძეგლის სახით.

მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წელს ჩამოყალიბდა ა(ა)იპ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი,რომლის მიზანია კინოჩვენებების, წიგნების, ადგილობრივი ნაწარმის ფესტივალების,

აკადემიური ფორუმების, სფეროს განვითარებასა და გამოწვევებზე ცნობადობის გაზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება (რასაც თან ერთვის ინტერნეტ და ტელე გაშუქება). გარდა ამისა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს დაევალა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა და დეტალური შესწავლა; პრიორიტეტების გაცნობა და ტურისტული ობიექტების საზოგადოებისათვის წარმოჩენა. ახლად შექმნილი ა(ა)იპ-ის საქმიანობის შედეგად, გაიზრდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცნობადობა. ტურისტული წვევის ადგილის იდენტიფიცირება საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ მათზე მორგებული მარკეტინგული სტრატეგია და მოვახდინოთ მის პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

*სასტუმროები ტყიბულის მუნიციპალიტეტში:*

| | |
|---|---|
| „მეთა“ | ქ.ტყიბული, გაბრიაძის N 12 |
| „სიხარული“ | ქ.ტყიბული,გამსახურდიას N 42 |
| გესტჰაუსი | ქ.ტყიბული, ყაზბეგის N 7 |
| გესტჰაუსი | საწირე |
| „ანა“ | საწირე |
| „ქორენა“ | გელათი |
| „აგატი“ | გელათი |
| „გელათი“ | გელათი |
| სასტუმრო | ქ.ტყიბული |
| ჰოსტელი „იზო“ | გელათი |
| გესტჰაუსი | საწირე |

## 1.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში უკანასკნელ წლებში მასშტაბური ინრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს, რასაც ძირითადად განაპირობებს ორი ფაქტორი. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტთა სიაში მოხვდა. პარალელურად 2021 წლიდან მუნიციპალიტეტში ამოქმედდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული ,,განახლებული რეგიონების“ პროგრამა.

პროგრამის, ,,განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, სამივე ეტაპის დასრულების შემდეგ

ტყიბულში რეაბილიტირდება 42 შენობა, 1 სკვერი და მიმდებარე ტროტუარები. ასევე, მოხდება გაზონების გამწვანება და ღობეების მოწყობა. დღემდე პროგრამის ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცენტრალურ ქუჩებზე მდებარე 39 მრავალსართულიან შენობას, განახლდა გარე ფასადები, შენობებზე მოეწყო თბოსაიზოლაციო კომპონენტები და არსებული კარ-ფანჯრი იზოპროფილის ვიტრაჟებით შეიცვალა. გამსახურდიას ქუჩის გამყოფ ზოლზე, ასევე, მოეწყო გამწვანება, განახლდა ტროტუარები, ხოლო გელათის ქუჩაზე მდინარის ორივე მხარეს მოაჯირები. აღნიშნული პროგრამები ურთიერშემავსებელია და მუნიციპალიტეტის საერთო კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურულ გარემოს ქმნის, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას, ინვესტიციების მოზიდვას და შემოსავლების გენერირებას.

პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში მაცხოვრებელთა საერთო ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

2022 წელს 40 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა გზების, სასმელი წყლის, სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობაში.

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართა ადგილზე ეკონომიკური აქტივობის გაზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ძირითადი ინფრასტრუქტრის მოწესრიგებაში. მომზადდა კურორტ ცხრაჯვარის სარეკრეაციო ტერიტორიის პოტენციურად მნიშვნელოვანი საინვესტიციო არეალების, განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ). მოეწყო ლოკაციამდე მისაასვლელი შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია აგრეთვე სოფელ საწირის მაგალითი. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ეკონომიკური ინსტიტუტების და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით მომზადდა სოფელ საწირის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტი: „საწირე - მომავლის სოფელი, კონკურენტუნარიანობის ამაღლება ტურიზმისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობით".
ტყიბულის მუნიციპალიტეტში გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე შეადგენს 84 კმ-ს, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 455 კმ. აღნიშნული გზების რეაბილიტაციის სამუშაოები ყოველწლიურად მიმდინარეობს. ამჟამად მწყობრიდან გამოსულია დაახლოებით 7 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს 45 ერთეული საავტომობილო და საცალფეხო ხიდი. მუნიციპალიტეტში გამავალი რკინიგზის საერთო სიგრძე 42 კმ-ია. მუნიციპალიტეტში ტურისტული ინფრასტრუქტურა ნაკლებად კეთილმოწყობილია და მუნიციპალიტეტში რეკრეაციულ ზონებს ნაკლები ფართობი უკავიათ.

მუნიციპალიტეტი სრულადაა ელექტროფიცირებული, რაც შეეხება გაზიფიცირების დაფარვის ზონას, გაზიფიცირებულია 48 დასახლებიდან მხოლოდ 20.

**გამოწვევა:** მუნიციპალიტეტში, წყალმომარაგების პრობლემა საბოლოოდ ჯერ კიდევ მოუგვარებელი და გადაუჭრელია.დღეს არსებული სასმელი წყლის სისტემით მარაგდება 32 სოფელი. მუნიციპალიტეტის გარკვეულ დასახლებებში, ადგილობრივი მოსახლეობა სასმელ წყალს დღემდე ეზიდება უახლოესი წყაროებიდან და ჭებიდან. მიუხედავათ იმისა, რომ

ბოლო სამ წელიწადში მოეწყო, სამი ერთეული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალი, შეძენილი და მოწყობილი იქნა, მნიშვნელოვანი ოდენობის საჭირო მაგისტრალური მილსადენი, არსებული პრობლემა ბოლომდე ჯერ ვერ გადაწყდა.  ქალაქის მასშტაბით, სასმელი წყლის ხარისხი გასაუმჯობესებელია, რისთვისაც მიმდინარეობს რამოდენიმე უბნის მაგისტრალური მილსადენების მოწყობა-რეაბილიტაცია, რის შემდგომ მოხდება ქალაქის მოსახლეობის სრული გამრიცხველიანება და ახალი გამწმენდი ნაგებობიდან, ქალაქს შემცირებული გრაფიკით, მიეწოდება ხარისხიანი სასმელი წყალი. დაგეგმილია რომ მუნიციპალიტეტში მომდევნო 3 წელიწადში წყალმომარაგების პროექტი დასრულდეს და 24- საათიანი წყალმომარაგება უნდა მიეწოდოს მოსახლეობას.

## 1.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

**ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა** - ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საწოლიანი ტყიბულის მრავალპროფილიანი საავადმყოფო, ხოლო სოფლებში 10 ამბულატორიაა წარმოდგენილი (მუხურა,სოჩხეთი საწირე, ხრესილი, ცუცხვათი, ჯვარისა, გურნა, კურსები, გელათი და ორპირი). სოფლის ექიმთა რაოდენობა შეადგენს 12-ს, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია ერთით.

ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა შეადგენს 20-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 5-ით. საწოლების უზრუნველყობა 100000 მოსახლეზე შეადგენს 96,6-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 46,6 ერთეულით. დეტალური სტატისტიკური მონაცმები აღწერილია დანართში N1.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 2022 წლისთვის ექიმთა რაოდენობა 2020 წლის მსგავსად 38-ს შეადგენს. საექთნო პერსონალის რიცხოვნობა კი 2022 წელს 33-ს უტოლდება, რაც 2020 წელთან შედარებით ერთით ნაკლებია.

სამედიციო მომსახურებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. იმის გამო რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა და ფუნქციონირებს ქვანახშრის მომპოვებელისაწარმო-შახტა და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, ქვანახშირის მოპოვების დროს ხშირია პროფესიული დაავადებების, სხვადასხვა საწარმოო ტრამვების და დამწვრობის შემთხვევები, საჭირო ხდება დაშავებულთა გადაყვანა ქ. ქუთაისისა და თბილისის კლინიკებში.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რაოდენობა  2022 წელს 2019 წელთან შედარებით 18%-ითაა გაზრდილი.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს ის რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლებშიც ჯერ კიდევ იმყოფება მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სარგებლობს სადაზღვევო კომპანიების პოლისებით, დიდია რიცხვი მოსახლეობისა რომელთათვისაც მიუწვდომელია

სამედიცინო მომსახურეობა ფასებისა და მათი გადახდისუუნარობის გამო.

კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა ძალიან მცირეა. მოსახლეობისათვის რთულია და პრობლემატურია მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას.

ქალაქის მდებარეობა და კლიმატური პირობები ასევე ზრდის რისკს ინვაზიური დაავადებების გავრცელებისათვის. სამწუხაროდ მომატებულია ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევები წინა წლებთან შედარებით. თუმცა აღინიშნება მართვადი ინფექციების შემცირების ტენდენცია.

**სოციალური მომსახურეობა** - ტყიბულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

**სოციალური სერვისი** – „უფასო სასადილო“ არის ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.

**სოციალური სერვისი** - „სოციალური სამრეცხაო“ მიზნად ისახავს უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**სოციალური სერვისი** - შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის დაფინასების პროგრამა

მუნიციპალიტეტში ნაკლებად არის უზრუნველყოფილი შშმ პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, თუმცა მუნიციპალიტეტში ყველა მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტი ადაპტირებული იქნება.

სოციალური სერვისების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2023 წელს ტყიბულში, აუტიზმისა და ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნით. რეაბილიტაციის ცენტრ "ნაიო"-ს ფილიალში, ბენეფიციარები პირველ ეტაპზე, კონკრეტული უფასო სახელმწიფო პროგრამებით ისარგებლებენ. შშმ ბავშვებს სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით კვალიფიციურ მომსახურებას გაუწევენ: ბავშვთა ნევროლოგი, ფიზიკური თერაპევტი, ქცევის თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ფსიქოლოგი. დღემდე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს მომსახურების მისაღებად გადადგილება სხვადასხვა ქალაქში უწევდათ, ამიერიდან კი, მათთვის სერვისი ხელმისაწვდომი ტყიბულში იქნება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტმა 2019 წლიდან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდთან ერთად, გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია ASB საქართველოს დაფინანსებით დაიწყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 მარტოხელა ხანდაზმულისათვის შინმოვლის სერვისის განხორციელება. სერვისის

ფარგლებში ბენეფიციარებს მიეწოდებათ საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების მოწესრიგების, საკონსულტაციო და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი. 2020 წლიდან სერვისი გაგრძელდება სრულად მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. გაიზარდა სერვისის მიმღებთა რაოდენობა და სერვისი გამრავალფეროვნდა.

სერვისის მიზანია შინმოვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, ბენეფიციარების ჰიგიენური და საცხოვრებელი პირობების მოწესრიგება თვეში 4- ჯერ (სავალდებულო ვიზიტი კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2-ჯერ) და ყოველთვიურად საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, გარდა უფასო სასადილოს ბენეფიციარებისა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს **გენდერული თანასწორობის საბჭო**,რომელიც შედგება 17 წევრისაგან, აქედან 10 ქალი და 7 კაცი. საბჭოს შემდგენლობაში არიან მერიის , საკრებულოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 04), ბიუჯეტში განსაზღვრულია 5 000 ლარით. საბჭო მრავალმხრივ აქტივობებს ახორციელებს (ტყიბულის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად აღინიშნება დაუნის სინდრომის კვირეული. ქალთა დღესთან დაკავშირებით მარტოხელა მშობლებს ტკბილეულის კალათები გადაეცა. დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის ჩატარდა პროფილაქტიკური კვლევა/დიაგნოსტირების თვალის პათოლოგიასა და სქოლიოზზე, ორი სპეციალობის ექიმთან. სამედიცინო მომსახურება მიიღო 240 ბავშვმა. ბავშვთა დღესთან დაკავშირებით მოეწყო ასფალტზე ხატვა და ბავშვებს ტკბილეული გადაეცა. „ვარდისფერი ოქტომბერი“ს ფარგლებსი ჩატარდა მკერდის კიბოს სკრინინგული კვლევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისათვის. 16 დღიანი ძალადობის კამპანიის ფარგლებში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. დაგეგმილია ხადაზმულთათვის ექსკურსიის მოწყობა).

გენდერული თანასწორობის საბჭოს ადვოკატირებით 2022 წლიდან პროგრამულ ბიუჯეტში განისაზღვრა ოჯახში ძალადობის მსხერპლთა სტატუსის მქონე პირთა დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 16) ერთჯერადი ფულადი დახმარება განსაზღვრულია 300 ლარის ოდენობით. გენდერული საბჭოს წევრებისთვის ტარდება ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები, ძალადობის, გენდერული ბიუჯეტირების და სხვა საკითხებზე. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშბოლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური

ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე.

## 1.5 განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის როგორც საშუალო და სკოლამდელი, ისე პროფესიული განათლების, ასევე კულტურისა და სპორტის სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

**მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება** - ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება ახორციელებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების (მათ შორის სასკოლო მზაობის პროგრამის) მიწოდების მომსახურებას 2 წლის ასაკიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაგა-ბაღი. აქედან 6 საბავშვო ბაგა-ბაღი განთავსებულია ქალაქის ტერიტორიაზე, 11 მუნიციპალიტეტის თემების ტერიტორიაზე. 17 საბავშვო ბაგა-ბაღიდან 2022-23 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა 16 საბავშვო ბაგა-ბაღში, ერთ დაწესებულებაში (ახალსოფლის საბავშვო ბაგა-ბაღი) დროებით შეწყვეტილი იყო პროცესი გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო. დღევანდელი მდგომარეობით რეაბილიტაცია ჩატარებული აქვს შვიდ დაწესებულებას (ტყიბულის N-1 საბავშვო ბაგა-ბაღი; ტყიბულის-2 საბავშვო ბაგა-ბაღი; ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი; გელათის საბავშვო ბაგა-ბაღი, სოჩხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი; გურნის საბავშვო ბაგა-ბაღი; ჯვარისის საბავშვო ბაგა-ბაღი). ახლად აშენებული არის ორი შენობა- ტყიბულის N-4 და ტყიბულის N-6 საბავშვო ბაგა-ბაღები. რვა დაწესებულების შენობა არის სრულად სარეაბილიტაციო (ტყიბულის N-5 საბავშვო ბაგა-ბაღი; ახალსოფლის საბავშვო ბაგა-ბაღი; საწირის საბავშვო ბაგა-ბაღი; ხრესილის საბავშვო ბაგა-ბაღი; ორპირის საბავშვო ბაგა-ბაღი; კურსების საბავშვო ბაგა-ბაღი; ცუცხვათის საბავშვო ბაგა-ბაღი; ძმუისის საბავშვო ბაგა-ბაღი). აქედან 2020 წელს-სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ საბავშვო ბაგა-ბაღს (ტყიბულის N-2 საბავშვო ბაგა-ბაღი); ახლად აშენდა ერთი საბავშვო ბაღი (ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი); 2021-2022 წწ. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ შენობას (ტყიბულის N-3საბავშვო ბაგა-ბაღი).

2022-23 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წელს ფუნქციონირებდა 31 ასაკობრივი ჯგუფი.

**ბავშვთა რაოდენობა ბაღების მიხედვით:**

- ტყიბულის N-1 საბავშვო ბაგა-ბაღი-85
- ტყიბულის N-2 საბავშვო ბაგა-ბაღი-84
- ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი-61
- ტყიბულის N-4 საბავშვო ბაგა-ბაღი-30
- ტყიბულის N-5 საბავშვო ბაგა-ბაღი-23
- ტყიბულის N-6 საბავშვო ბაგა-ბაღი-24

- ახალსოფლის საბავშვო ბაგა-ბაღის 10 აღსაზრდელი გადანაწილებულია ქალაქის სხვადასხვა ბაღებში.
- საწირის საბავშვო ბაგა-ბაღი-28
- ხრესილის საბავშვო ბაგა-ბაღი-5
- ორპირის საბავშვო ბაგა-ბაღი-43
- კურსების საბავშვო ბაგა-ბაღი-14
- გელათის საბავშვო ბაგა-ბაღი-48
- ცუცხვათის საბავშვო ბაგა-ბაღი-9
- სოჩხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი-12
- გურნის საბავშვო ბაგა-ბაღი-10
- ჯვარისის საბავშვო ბაგა-ბაღი-7
- ძმუისის საბავშვო ბაგა-ბაღი-3

**აღსაზრდელთა რაოდენობის დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში:**

- 2022-23 სააღმზრდელო საგანმანათლებლო წელს ჩარიცხული იყო 496 აღსაზრდელი
- 2021-22 სააღმზრდელო საგანმანათლებლო წელს ჩარიცხული იყო 541 აღსაზრდელი
- 2020-21 სააღმზრდელო საგანმანათლებლო წელს ჩარიცხული იყო 565 აღსაზრდელი

**სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დაასრულების დინამიკა**

- 2020-21 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი დაასრულა 175-მა აღსაზრდელმა
- 2021-22 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი დაასრულა 172-მა აღსაზრდელმა
- 2022-23 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი დაასრულა 172-მა აღსაზრდელმა

**განათლებაზე ხელმისაწვდომობა** - ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არის 24 საჯარო სკოლა (23 მოქმედი) მათ შორის, 16 დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის და 8 დაწყებითი- საბაზო საფეხურის (მათ შორის სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჯოლის საჯარო სკოლაში არ ირიცხება მოსწავლე და არ ფუნქციონირებს). ქალაქში წარმოდგენილია 6 სკოლა, დანარჩენი 18 კი სოფლებში. კერძო სკოლები მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს.

განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში 2022-2023 სასწავლო წლისთვის, მოქმედი 23 საჯარო სკოლიდან, 21 საჯარო სკოლის 790 მოსწავლეს ემსახურება მოსწავლეთა ტრანსპორტი (პროგრამის კრიტერიუმების გათვალისწინებით მოსწავლეთა არასრულ კონტინგენტს).

ტყიბულის მუნიციპალიტეტში განათლების სისტემაში დასაქმებულია- 623 ადამიანი. მათ შორის: რესურსცენტრში-5; საჯარო სკოლის მასწავლებელი-398; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა სპეციალური მასწავლებელი -19; სხვა დანარჩენი სკოლის პერსონალი - 201;

დღეის მდგომარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლებში ირიცხება 2115 მოსწავლე. 2023-2024 სასწავლო წლისთვის 176 პირველკლასელია რეგისტრირებული;

რაც შეეხება წინა წლების დინამიკას, 2022-2023 სასწავლო წელს საჯარო სკოლებში ირიცხებოდა - 2292 მოსწავლე; 2021-2022 წელს- 2302 მოსწავლე; 2020-2021 სასწავლო წელს კი - 2227 მოსწავლე;

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით 2023-2026 წლებში 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 2023-2024 წწ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ უნდა განხორციელდეს 7 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ყოველწლიურად მიმდინარეობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, სკოლებში ხორციელდება სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათი დიდი ნაწილი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკითა და გამართულად მუშაობს ინტერნეტი. რიგ საჯარო სკოლებს ემსახურება ტრანსპორტი მოსწავლეთა გადასაყვანად.მოქმედი საჯარო სკოლებიდან ბოლო სამ წელიწადში აშენდა 3 საჯარო სკოლა; მიმდინარეობს 1 სკოლის სრული რეაბილიტაცია (მგფ); 2 სკოლის ავარიულობის გამო 2023 წელს დაგეგმილია ახალი შენობების მშენებლობა (სააგენტო); პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით 2023-2026 წლებში 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 2023-2024 წწ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ უნდა განხორციელდეს 7 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ქ. ტყიბულში მოქმედებს პროფესიული სასწავლებელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სადაც 148 სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა პროფესიას შემდეგ **პროგრამებზე:**

1.მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი

2.სამთო ელექტრომექანიკოსი

3.სამთო ტექნიკოსი

4.მღებავი

5.მებათქაშე

6.ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირის საჯარო სკოლაში 2023 წლიდან, სკოლასა და კოლეჯ „იბერიას" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სკოლის ბაზაზე მოსწავლეებისთვის ხორციელდება პროფესიული განათლების სერვისის მიწოდება, „გრაფიკული დიზაინის" მიმართულებით;

ზოგადი განათლების ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტში საბაზისო სერვისების მიწოდებასთან ერთად ხორციელდება შემდეგი პროექტები: ინკლუზიური განათლების სერვისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის; „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამა"; „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამა" რომლის ფარგლებში

ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

**გამოწვევები:** სასკოლო კვება; მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაზრდილი კონტიგენტისთვის(მშობლების მხრიდან მზადია მოთხოვნა და ყოველწლიურად იზრდება); მოსწავლეთა მიგრაცია; კვალიფიციური კადრების დეფიციტი; საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და აღჭურვა.

**კულტურა** - მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების წარმმართველია **ა.(ა).ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანება“**,რომელიც საზოგადოებას სთავაზობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფის ხელშეწყობას.

**გაერთიანება აერთიანებს შემდეგ განყოფილებს:**

1. მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა
2. სამხატვრო სკოლა
3. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე
4. მუნიციპალური თეატრი
5. ბიბლიოთეკების გაერთიანება
6. სასოფლო კლუბები
7. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
8. საინფორმაციო ცენტრი

არსებული განყოფილებები შესაბამის სერვისს სთავაზობენ მოსახლეობას:

1. **მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა** - ემსახურება მოსწავლეთათვის სახელოვნებო განათლების მიცემას, ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, კონკურსებში, ფესტივალებში, საქალაქო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარებას განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, გიტარა, ფლეიტა), ხალხური საკრავები, ვოკალური, საესტრადო სიმღერა და ქორეოგრაფიული განყოფილება (ბალეტი, ქართული ცეკვა).

**კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი**

**II სემესტრი 2022-2023 სასწავლო წელი**

| კლასი | ფორტეპიანო | ვიოლინო | გიტარა | ფლეიტა | ხალხ.საკრავები | ვოკალი | საესტრადო | ბალეტი | ქართ. ცეკვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | 19 | 3 | 10 | 1 | 10 | 2 | 7 | 9 | 17 | **78** |
| II | 11 | 1 | 6 | 4 | 8 | 3 | 6 | 2 | | **41** |
| III | 6 | 1 | 7 | 1 | 5 | ----- | 5 | 1 | 3 | **29** |
| IV | 9 | ------ | 1 | 1 | 6 | ----- | 6 | 2 | 14 | **39** |
| V | 6 | ------ | ------ | ------ | 4 | ----- | 6 | 1 | 7 | **24** |
| VI | 17 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 3 | ----- | 5 | **33** |
| სულ | **68** | **6** | **25** | **8** | **36** | **7** | **33** | **15** | **46** | **244** |

მოსწავლეთა კონტინგენტი ბოლო სამი წლის განმავლობაში:

2021წელი (261 მოსწ)

| ფორტეპ იანო | ვიოლინ ო | გიტარა | ფლეიტა | ხალხ.საკ რავები | ვოკალი | საესტრა დო | ბალეტი | ქართ. ცეკვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 84 | 6 | 21 | 9 | 31 | 7 | 34 | 12 | 57 |

2022 წელი (230 მოსწ)

| ფორტეპ იანო | ვიოლინო | გიტარა | ფლეიტა | ხალხ.საკრა ვები | ვოკალი | საესტრა დო | ბალეტი | ქართ. ცეკვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 73 | 6 | 22 | 8 | 33 | 5 | 35 | 12 | 36 |

2023 წელი (244 მოსწ)

| ფორტეპიანო | ვიოლინო | გიტარა | ფლეიტა | ხალხ.საკრავები | ვოკალი | საესტრადო | ბალეტი | ქართ.ცეკვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **68** | **6** | **25** | **8** | **36** | **7** | **33** | **15** | **46** |

2. **სამხატვრო სკოლა** - ემსახურება მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ–ჩვევების, ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის

შესწავლას. მრავალმხრივი, ჰარმონიული პიროვნების ფორმირებას. კონკურსებში, ფესტივალებში, საქალაქო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარებას განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სამხატვრო სკოლაში ისწავლება: სახვითი ( ხატვა, ფერწერა, ქანდაკება) და გამოყენებითი ხელოვნება ( თექა, ბატიკა, ხეზე კვეთა, მინის მხატვრული დამუშავება) .

**კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი**

სკოლაში სწავლა არის ჯგუფური. ფუნქციონირებს 8 ჯგუფი (სულ 113 მოსწავლე)

1. I ა კლასში სწავლობს 17 მოსწავლე
2. I ბ კლასში ––––––––––--18 მოსწავლე
3. II ა კლასში –––––––––– 17 მოსწავლე
4. II ბ კლასში –––––––-–– 15 მოსწავლე
5. III ა კლასში –––––––––– 15 მოსწავლე
6. III ბ კლასში ––––––––––15 მოსწავლე
7. IV ა კლასში –––––––––– 8 მოსწავლე
8. IV ბ კლასში ––––––––––8 მოსწავლე

**სამი წლის** განმავლობაში სამხატვრო სკოლაში სწავლობდა **311 მოსწავლე.**

2020–2021 სასწავლო წელს სწავლობდა 108 მოსწავლე

2021–2022 სასწავლო წელს სწავლობდა 90 მოსწავლე

2022–2023 სასწავლო წელს სწავლობდა 113 მოსწავლე.

3. **შოთა რუსთაველის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე -** მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე საზოგადოებას სთავაზობს არაფორმალური განათლების ფარგლებში სხვადასხვა სახის სასწავლო-შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო, შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებს. ხელს უწყობს შემეცნებითი ინტერესებისა და კრეატიული აზროვნების განვითარებას კონკურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ფუნქციონირებს :

- ქართული ფოლკლორის წრე;
- ლიტერატურული სალონი,;
- ბავშვთა გაერთიანება ,,ცოდნის სამყარო“;
- ეკო-ბიოლოგიის წრე ;
- ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრე ;

- ბუნებისმოყვარულთა კლუბი;
- უფროსკლასელთა კლუბი;
- ვოკალის წრე;

სახელოვნებო მიმართულებაში შედის ბავშვთა გაერთიანებები:

- ,,ანა-ბანა“,
- ,,ბასტი-ბუბუ“
- ,,თოჯინების თეატრი“

**კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი 2021-2023 სასწავლო წელი**

| N | ჯგუფის დასახელება | 2021წ. | 2022 წ. | 2023 წ. |
|---|---|---|---|---|
| 1. | ბ/გ ,,ანა-ბანა“ | 20 | 21 | 27 |
| 2. | ბ/გ ,,ბასტი-ბუბუ“ | 45 | 22 | 37 |
| 3. | ვოკალის წრე | 0 | 12 | 31 |
| 4. | ბ/გ ,,ცოდნის სამყარო“ | 15 | 13 | 21 |
| 5. | თოჯინების თეატრი | 10 | 10 | 10 |
| 6. | საბავშო თეატრი | 15 | 12 | 15 |
| 7. | ქორეოგრაფიული ანსაბლი ,,სიჭაბუკე“ | 58 | 36 | 48 |
| 8. | კინო-ფოტო მოყვარულთა | 15 | 10 | 13 |
| 9. | ეკო-ბიოლოგია | 10 | 8 | 8 |
| 10. | ისტორია-მხარეთმცოდნეობა | 10 | 10 | 8 |
| 11. | ბუნებისმოყვარულთა კლუბი | 15 | 14 | 21 |
| 12. | უფროსკლასელთა კლუბი | 60 | 30 | 33 |
| 13. | მხატვრული კითხვის წრე | 14 | 13 | 16 |
| 14. | რუსული ენის შემსწავლელი | 10 | 7 | 9 |
| | სულ სასახლის სერვისით სარგებლობდა<br>ზუსტი რაოდენობა | 297<br>210 | 216<br>171 | 297<br>208 |

4. **მუნიციპალური თეატრი** - ემსახურება საზოგადოებაში კულტურული და სოციალური თვითშეგნების დამკვიდრებას, ასევე ესთეტიური განვითარების სრულყოფას, თეატრის

პოპულარიზაციას, თეატრალური ხელოვნების განვითარებას და საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდას სასცენო ხელოვნებისადმი. მუნიციპალურ თეატრში ბოლო სამი წლის განმავლობაში დაიდგა 7 სპექტაკლი , მათ შორის სამი თოჯინების. 2021 წელს - 3 სპექტაკლი; 2022 წელს - 2 სპექტაკლი ; 2023 წელს -2 სპექტაკლი. მუნიციპალური თეატრი ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს იმერეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში. 2021 წელს თეატრალურ ფესტივალზე ,,თეატრალური იმერეთი 2021" (სპექტაკლი ,,დედის დღე" , რეჟისორი ეკატერინე სირაძე), დასის ახალგაზრდა მსახიობი ნიკოლოზ დონაძე ,,საუკეთესო დებიუტანტი"-ს დიპლომით დაჯილდოვდა. 2022 წელს სპექტაკლი ,,ქალაქი" ( რეჟისორი: ქეთევან სამხარაძე) მთავარი პრიზი გრან-პრი და ფულადი ჯილდო 1000 (ერთიათასი) ლარი. 2023 წელს სიღნაღის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. სპექტაკლი ,,უსამშობლო კაცი" (რეჟისორი: მარიამ სიხარულიძე), მე-II ადგილი და ფულადი ჯილდო 10000 (ათი ათასი) ლარი. 2023 წელს იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ,,თეატრალური იმერეთი 2023", ფესტივალის ,,გრან-პრი" და ფულადი ჯილდო 2000 (ორიათასი) ლარი, ხოლო რეჟისორი მარიამ სიხარულიძე , ნომინაციაში ,,საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი" გამარჯვებული გახდა .

5. **ბიბლიოთეკების გაერთიანება** - ბიბლიოთეკა მოსახლეობას სთავაზობს განათლების, შემეცნებითი, კულტურული დონის ამაღლებისათვის, საზოგადოების გონებრივი განვითარებისა და დასვენებისათვის ხელშეწყობას. სხვადასხვა სახის, შინაარსის ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკების გაერთიანება მოიცავს 5 საქალაქო და 14 სასოფლო ბიბლიოთეკას.
   - 2021 წელს საბიბლიოთეკო სერვისით 689 ბავშვმა ისარგებლა.
   - 2022 წელს საბიბლიოთეკო სერვისით 695 ბავშვმა ისარგებლა.
   - 2023 წელს საბიბლიოთეკო სერვისით 586 ბავშვმა ისარგებლა. (დღემდე)

**სპორტი** - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი აქტიურად არის დაკავებული სპორტის მრავალი სახეობით. მათ შორის პოპულარულია ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი და სხვა. მოქმედებს ასევე აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლა, რომელსაც გარკვეული წარმატებები აქვს საქართველოს მასშტაბით.

ქალაქ ტყიბულში არის საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო მოედანი, საცურაო აუზი და ტყიბულის სპორტის სასახლე, რომელიც სრულადაა რეაბილიტირებული.

სპორტული ცენტრის დაქვემდებარებაშია 3 განყოფილება: ინდივიდუალური და საგუნდო სპორტული სახეობების განყოფილება; სპორტული ობიექტების განყოფილება; ჭადრაკის განყოფილება.

- ინდივიდუალური და საგუნდო სპორტული სახეობების განყოფილება ბავშვებს თავაზობს 10 სპორტულ სახეობაში უფასო ვარჯიშებს, საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, ტურნირებში, ჩემპიონატებში მონაწილეობას ყოველგვარი

გადასახადის გარეშე, უფასო სპორტული ინვენტარით სარგებლობა (კალათბურთი, ხელბურთი,ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, კუნგ-ფუ, კარატე, რაგბი).

- ჭადრაკის განყ.-ბა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის ატარებს უფასო მეცადინეობებს, უფასოა საქალაქო და რესპუბლიკურ ჩემპიონატებსა და ფესტივალებში მონაწილეობა.
- სპორტული ობიექტების განყ.-ის სამუშაო სფეროს მიეკუთვნება სპორტ. სასახლე, საცურაო აუზი, ც/ სტადიონი, მინი-მოედნები. სპორტ. სასახლეში გახსნილია სპორტული სექციები, სადაც ვარჯიშობენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები მთელი წლის მანძილზე; სპორტ. სასახლე ემსახურება საკალათბურთო კლუბს-,,ორბი"; ც/სტადიონი ემსახურება ბავშვთა ფეხბურთს, ასევე ქალაქის ფეხბურთელთა გუნდს - ,,მეშახტე"; რაც შეეხება საცურაო აუზს, ის მუშაობს სეზონურად.

თითოეულ სექციაში გაერთიანებულ მოზარდთა რაოდენობა შემდეგნაირია:

- კალათბურთი - 62 ( ტყიბულის 4 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში 11,12,19,20 მოზარდი )
- კალათბურთი - 33 ( ორპირის 2 ჯგუფი, 16 მოზარდი-გოგონების ჯგუფი, 17- ბიჭები );
- ხელბურთი - 31 ( გოგონების 2 გუნდი -13 და 18 რაოდენობით );
- ქართული ჭიდაობა - 18 მოზარდი;
- ძიუდო - 18 ( ტყიბული )
- ძიუდო - 22 ( გელათი )
- სამბო - 23 ( 2 ჯგუფი - 11 და 12 მოზარდით );
- კრივი - 50
- კუნგ-ფუ - 15
- კარატე - 19
- თ/ ჭიდაობა - 12
- რაგბი - 40 ( 3 ჯგუფი - 15,13,12 )

სულ აღნიშნულ სახეობებში გაერთიანებულია 345 მოზარდი.

ჭადრაკის განყოფილებაში შექმნილია 6 ჯგუფი. აქედან გურნაში 1 ჯგუფი 13 მოზარდით; სოჩხეთი- 1 ჯგუფი 12 მოზარდი; ორპირი 1 ჯგუფი 24 მოზარდით; ქალაქში - 3 ჯგუფი 12 და 24 მოზარდით; სულ ჭადრაკის განყ.-ში ბავშვთა რაოდენობა - 85 . სპორტულ ცენტრში შექმნილ სექციებში სულ გაერთიანებულია 430 მოზარდი.

**ბოლო სამი წლის მონაცემები: განყ.-ის სერვისით მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა წლების მიხედვით**

| | 2021 | 2022 | 2023 |
|---|---|---|---|
| ინდივიდუალური და საგუნდო სპორტული სახეობების განყ.-ბა | 342 | 325 | 345 |
| ჭადრაკის განყ.- ბა | 79 | 86 | 85 |

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02).

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნორჩი მეშახტის დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა შპს „საფეხბურთო კლუბ მეშახტეს", საიდანაც ხორციელდება ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფებისათვის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯი. პროგრამის მიზანია შპს საფეხბურთო კლუბ ,,მეშახტეს" აღუზარდოს ადგილობრივი, ღირსეული კადრები.

## 1.6 გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: ლეხიდარი, ძუსა, ტყიბულა, წყალწითელა, წარმოდგენილია რამდენიმე ჩანჩქერი მუხურასა და ძმუისში. ტყიბული მდიდარია ისეთი წიაღისეულით, როგორიცაა ქვანახშირი, დიპტოლიტური და ნახშიროვანი ფიქალები, ქალცედონი, ტეშენიტი, ბარიტი, კვარცის ქვიშები, ბაზალტი, გიშერი, ცეცხლგამძლე და საცემენტე თიხები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მინერალური წყალი: კურსებში, ბუეთში, სოჩხეთში, კოკაში, ცუცხვათში, მუხურასა და ლელევში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მდიდარი ბუნებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2004 წლის ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით, ტყეებს 29,183 ჰა ფართობი უჭირავს. ფლორა და ფაუნა წარმოდგენილია როგორც ვიწრო არეალის კოლხური, ასევე კავკასიური ენდემური სახეობებითა და ჯიშებით. ყველაზე გავრცელებული ჯიშებია მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია და ა.შ. დიდხნოვანი ხე: 1500 წლის სოფელ სოჩხეთში; რელიქტური მცენარეები: ბზა, უთხოვარი, შქერი, წაბლი და სხვ.; კორომები:

უთხოვარის - ცუცხვათსა და დოხორაში, თხმორი - ძმუისში, წაბლის - მდინარეების ტყიბულასა და ძუსას ხეობაში. საკანალიზაციო კოლექტორები აქვს მხოლოდ ქალაქ ტყიბულს, თუმცა გამწმენდი მოწყობილობები არარსებობს.

ტყიბულის ადმინისტრაციული ერთეულისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა ძლიერი ქარი, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია და გვალვა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დასახლებულ ტერიტორიებს საფრთხეს უქმნის მეწყერული მოვლენები.

აღსანიშნავია ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული თბოსადგურისა და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წარმოადგენს წყლისა და ატმოსფერული ჰაერის

დაბინძურების წყაროს. ბოლო წლებში იმატა სხვადასხვა სახის დაავადებათა რიცხვმაც. ასევე აღსანიშნავია, მდინარე ტყიბულას ნაპირზე არსებული ქვანახშირის საწარმო, რომლის ნარჩენები პირდაპირ ჩაედინება მდინარეში და აბინძურებს მას.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „კომუნალური გაერთიანება“. მუნიციპალიტეტს გააჩნია „მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“, დოკუმენტის განახლების მიზნით მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ სტატისტიკური წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 0,84 კუბურ მეტრს (დაახლოებით, 1.1 ტონა), ხოლო წელიწადში გატანილი ნარჩენების მთლიანი რაოდენობა შეადგენს, დაახლოებით 10,000 კუბურ მეტრს. მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელი განთავსებულია ტყიბულში, სოფელ მანჭიორში. ნაგავსაყრელი ლიცენზირებულია. 2022 წლის მონაცემებით შეგროვებული იქნა 10 498 მ3 მუნიციპალური ნარჩენი, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 49.9 %-ით აღემატება.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს როგორც კონტეინერული, ასევე ხმოვანი სიგნალით შეტყობინების სისტემა. კონტეინერების საერთო რაოდენობაა 330 , საიდანაც 200 ლითონისაა, 1.1 და 0.9 კუბური მეტრის მოცულობის მქონე, ხოლო 130 ერთეული პლასტმასის - 1.1 კუბური მეტრის მოცულობს მქონე კონტეინერი და 6 ერთეული სეპარირებადი პლასტმასის ბოთლებისათვის განკუთვნილი კონტეინერი. ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობაა-3.

*მუნიციპალიტეტის/ დასუფთავების სამსახურის მიერ მოსახლეობისგან შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა მ³ (ან ტონა)*

| მუნიციპალიტეტი | მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა წლების და თვეების მიხედვით | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2018 | | 2019 | | 2020 | | 2021 | | 2022 | |
| | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი | ქალაქი | სოფელი |
| იანვარი | 180 | 130 | 200 | 150 | 250 | 180 | 260 | 190 | 280 | 200 |
| თებერვალი | 180 | 130 | 200 | 150 | 250 | 180 | 260 | 190 | 280 | 200 |
| მარტი | 180 | 130 | 200 | 150 | 250 | 180 | 260 | 190 | 280 | 200 |
| აპრილი | 180 | 130 | 200 | 150 | 250 | 180 | 260 | 190 | 280 | 200 |
| მაისი | 200 | 160 | 250 | 190 | 280 | 200 | 300 | 210 | 320 | 220 |
| ივნისი | 200 | 160 | 250 | 190 | 280 | 200 | 300 | 210 | 320 | 220 |
| ივლისი | 400 | 200 | 450 | 250 | 360 | 260 | 380 | 270 | 400 | 300 |
| აგვისტო | 400 | 200 | 450 | 250 | 630 | 260 | 380 | 270 | 400 | 300 |
| სექტემბერი | 400 | 200 | 450 | 250 | 360 | 260 | 380 | 270 | 400 | 300 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქტომბერი | 163 | 157 | 277,5 | 195 | 378,5 | 176 | 359,5 | 163 | 395,5 | 174 |
| ნოემბერი | 163 | 157 | 277,5 | 195 | 378,5 | 176 | 359,5 | 163 | 395,5 | 174 |
| დეკემბერი | 180 | 130 | 200 | 150 | 250 | 180 | 260 | 190 | 280 | 200 |
| სულ | 2 826 | 1 884 | 3 405 | 2 270 | 3 647 | 2 432 | 3 759 | 2 506 | 4 031 | 2 688 |

*2022 წლის მონაცემებით, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა :*

| დასახელება | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|
| კონტეინერები, მოცულობით 1,1 მ$^3$ | 50 | ლითონის კონტეინერი |
| კონტეინერები, მოცულობით 240 ლ | 10 | პლასმასი |
| სხვა კონტეინერები (პლასმასი 1100 ლიტრი) | 100 | 50 ცალი მწვანე 50 შავი კონტეინერი პლასმასის |
| კურტარული ნაკეთობა 0,8 მ$^3$ | 150 | |
| პოლიეთილენის ურნა | 4 | |
| ნაგავმზიდები, სულ<br>მათ შორის: | 3 | ნაგავშემკრები |
| ახალი | 2 | MERSEDES-BENZ AXOR 1824 (მოცულობა-13მ.კბ., 4x2<br>MERSEDES-BENZ ATGO 1318(მოცულობა-7მ.კბ., 4x4 |
| კარგ მდგომარეობაში | 1 | HYUNDAI HD72 KMFGA17BPAC130269<br>(მოცულობა-5 მ.კბ., 4x2 |

**გამოწვევა:** მუნიციპალიტეტს ნარჩენების დასუფთავების სისტემის გაუმჯობესებისათვის ესაჭიროება სეპარაციისათვის განკუთვნილი ნაგავმზიდი სპეც. ტექნიკა.

საჭიროა მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად კომპოსტირების დანერგვა/განხორციელება.

## 1.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

მუნიციპალიტეტში 2019 წელს გაიხსნა საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრი, რომლის მომსახურებით ტყიბულის და მისი მიმდებარე 11 სოფლის 24 ათასზე მეტი მცხოვრები სარგებლობს აღნიშნული ცენტრი დღეის მდგომარეობით სრულად ითავსებს იუსტიციის

სახლის ფუნქციებს. იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზეა ორიენტირებული. მომხმარებელი ადგილზე 200-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო სერვისით სარგებლობს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება წარმოდგენილია წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და აღმასრულებელი ორგანოს - მერიის სახით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გათვალისწინებულია 9 770 000 ლარის ოდენობით, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 31.4%-ით აღემატება.

2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 12 122 000 ლარს, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით 23.5 % -ით ნაკლებია. 2023 წლის 6 თვის ხარჯების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

- 24.5% არის გათვალისწინებული ეკონომიკურ საქმიანობაზე
- 18.8% - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
- 2.5% - გარემოს დაცვა
- 24.8% საბინაო-კომუნალური მეურნეობა
- 0.5% - ჯანმრთელობის დაცვა
- 11.3% - დასვენება და კულტურა
- 12. 5% - განათლება
- 5.1% - სოციალური დაცვა

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადების გარკვეული ნაწილი), რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად ამისა, ტყიბულის მუნიციპალიტეტს არა აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, (ქონების გადასახადი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა) იგი საჭიროებს მიმდინარე ხარჯებისა და კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი

ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენს 22.2 მლნ ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმის ნახევარზე მეტს -- 12,7 მლნ ლარს (58,1%) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია განაწილებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (19%)-ის 0,52%- საორიენტაციოდ 8.1 მლნ. ლარი მიიმართება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტს 2023 წელს მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოეყო ფინანსური დახმარება 900,0 ათასი ლარის ოდენობით. არასაკუთარი შემოსავლები (9,5 მლნ. ლარი) ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. (მათ შორის ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“, ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან“, ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში“, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“).




| ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023 6 თვის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში) | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **2023 წელის 6 თვე** | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1983,4 | 18,7 |
| თავდაცვა | 0 | 0 |
| საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება | 0 | 0 |
| ეკონომიკური საქმიანობა | 2593,9 | 24,5 |
| გარემოს დაცვა | 259,9 | 2,5 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 2627,5 | 24,8 |

| | | |
|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვა | 49,7 | 0.5 |
| დასვენება და კულტურა | 1199,7 | 11,4 |
| განათლება | 1325,5 | 12,5 |
| სოციალური დაცვა | 537,1 | 5,1 |
| **სულ ხარჯები** | **10576,7** | 99,9 |

- 2022 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 22 373 400 ლარი, რაც 60.2 %-ით აღემატება 2020 წლის შემოსულობების მაჩვენებელს (13 967 000 ლარი).
- 2022 წელს საწარმოთა ქონების გადასახადიდან შემოსავალი მიღებულია 493 000 ლარი(2020 წელს ფაქტიურად შემოსულია 492 800ათასი ლარი).
- 2020 წელს ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი შემოსულია 5 900 ათასი ლარი. 2022 წელს შემოსულია 130.5 % -ით მეტი - 13 600 ათასი ლარი,
- 2022 წელს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მიღებულია 44 500 ლარი, 211.1 %-ით მეტი 2020 წელს შემოსულ მაჩვენებელთან შედარებით ( 14 300 ლარი).
- 2022 წელს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოსულია 299 200 ათასი ლარი, 11.9% -ით მეტი 2020 წელთან შედარებით (267 300 ლარი).
- 2022 წელს სხვა შემოსავლები ფაქტიურად შემოსულია 465 600 ლარი. 126.9%-ით მეტი 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით(204 900 ლარი).
- 2022 შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შეადგენს 19 500 ლარს. 2020 წელს კი - 2 300 ლარს.
- 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ტრანსფერებმა 13 470 900 ლარი შეადგინა, 51.7 %-ით მეტი 2020 წელთან შედარებით (8 880 100 ლარი).
- 2022 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შიდა გზების მოვლა-შენახვისათვის გახარჯულია 5 920 800 ლარი, 68.4 % ით მეტი 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით (3 515 400 ლარი).
- 2022 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 686 900 ლარი, თითქმის 337%-ით მეტი 2020 წელს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გახარჯულ თანხაზე( 157 300 ათასი ლარი).
- 2020 სოფლის მხარდასაჭერი პროგრამების განსახორციელებლად გახარჯულია 481 600 ათასი ლარი. 2022 წელს კი 41.4 %-ით ნაკლები - 340 400 ლარი.
- 2022 წელს სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით ფაქტიურად გახარჯულია 864 600 ლარი, თითქმის 100%-ით მეტი 2020 წელთან შედარებით(431 400 ლარი)
- 2022 წელს ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების გახარჯულია 96 400 ლარი, 19.5%-ით მეტი 2020 წელთან შედარებით (80 700ლარი)
- 2022 წელს სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 164,3 ათასი ლარი(155.5%ით მეტი 2020 წელთან შედარებით. დახმარება გაეწია 308 შეჭირვებულ მოქალაქეს. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 247 შეჭირვებულ ოჯახს.

## 1.8 SWOT ანალიზი

<table>
<tr><th>ძლიერი მხარეები</th><th>სუსტი მხარეები</th></tr>
<tr><td>

- განვითარებული სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, შემდგომიგაფართოების პერსპექტივით და მაღალი კვალიფიკაციის კადრებით;
- მოთხოვნადი, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჩაის წარმოებისაღდგენის პერსპექტივა, პოპულარული ბრენდი „ტყიბულის ჩაი“;
- მდიდარი წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები;
- ტურიზმის განვითარების პერსპექტივა: - ზომიერი კლიმატი,ბუნებრივი გარემო;
- ისტორიულ კულტურული და ბუნების ძეგლების მრავალფეროვნება;
- საფეხმავლო, საცხენოსნო, სარკინიგზო, კულტურულ- საგანმანათლებლო, პილიგრიმული, სპელეო და სათავგადასავლო-აღმოჩენითი ტურიზმის განვითარებისშესაძლებლობა;
- იმერული სტუმართმასპინძლობის ტრადიციები.
- სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ცენტრებთან სიახლოვე: რკინიგზა, კოპიტნარის აეროპორტი.
- გამართული საგზაო და ენერგო ინფრასტრუქტურა.

</td><td>

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მეტწილად დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებულ დაფინანსებაზე, რაც ზღუდავს მის ფინანსურ ავტონომიას და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს.
- ქალაქის მოძველებული ინფრასტრუქტურა, მიტოვებული შენობები და რევიტალიზაციის კრიტიკული საჭიროება.
- სუსტად განვითარებული ადაპტირებული ინფრასტრუქტურა
- მოსახლეობის მიგრაცია, შრომითი და კვალიფიციური რესურსის გადინება, დემოგრაფიული პრობლემები;
- არადივერსიფიცირებული ეკონომიკა, ერთ სუბიექტზე(შ.პ.ს საქნახშირი) დამოკიდებულება
- განუვითარებელი სოფლის მეურნეობა: მოძველებული ტექნოლოგიები, დაბალი კვალიფიკაცია;
- აუთვისებელი ბუნებრივი რესურსები. მოძველებულიტექნოლოგიები;
- ტურისტული განთავსებისა და კვების ინფრასტრუქტურის ნაკლებობა
- ტურისტული სერვისის, მომსახურების სფეროში დაბალი კვალიფიკაცია,მწირი გამოცდილება

</td></tr>
<tr><th>შესაძლებლობები</th><th>საფრთხეები</th></tr>
<tr><td>

- მეჩაიეობისა და კენკროვანი კულტურების განვითარებისსახელმწიფო პროგრამა;
- სახელმწიფოს მხრიდან სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობისგანვითარების ხელშემწყობი გარემო;
- სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების პოპულარიზაცია;
- ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი გარემო;
- ინვესტორების მხრიდან ტურისტული ინფრასტრუქტურისადმი გაზრდილი ინტერესი.
- საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი სასოფლო-სამეურნეო პროგრამები.

</td><td>

- კლიმატის ცვლილება
- პოლიტიკური არასტაბილურობა;
- სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია;
- სტიქიური მოვლენები;
- ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის კრიზისები,ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა;
- გარე კონკურენცია სხვა მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

</td></tr>
</table>

# 2. ხედვა, მიზნები და ამოცანები

## 2.1 ხედვა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, არსებული გამოცდილებისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

ტყიბულის მუნიციპალიტეტი განახლებული პოსტინდუსტრიული რეგიონია რევიტალიზებული ინფრასტრუქტურითა და გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისებით. წარმატებული ეკონომიკური დივერსიფიკაციის წყალობით, ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლის მრავალმხრივი სტაბილური წყარო გააჩნია. გაზრდილია მუნიციპალიტეტის, როგორც სასურველი ტურისტული ადგილის ცნობადობა. შეჩერებულია მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა - მოსახლეობის მიგრაცია

## 2.2 მიზნები და ამოცანები

| | |
|---|---|
| მიზანი N1 | ტყიბულის მუნიციპალიტეტის, როგორც პოსტინდუსტრიული რეგიონის აღორძინება და ურბანული რეგენერაცია |
| ამოცანა 1.1 | ურბანული რეგენერაციის გენერალური გეგმის შემუშავება და განხორციელება. |
| ამოცანა 1.2 | მიტოვებული ინდუსტრიული ტერიტორიების იდენტიფიცირება და გარდაქმნა ფუნქციურ ურბანულ სივრცეებად. |
| მიზანი 2 | ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების გაზრდა(მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის განვითარება და პოპულარიზაცია) |
| ამოცანა 2.1 | ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; განვითარების პერსპექტიული სფეროების იდენტიფიცირება. |
| ამოცანა 2.2 | ტურიზმის განვითარების ყოვლისმომცველი გეგმის განხორციელება, რომელიც მოიცავს მარკეტინგის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობას |

| | |
|---|---|
| მიზანი 3 | მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო, სოციალური - კულტურული გარემოს განვითარება |
| ამოცანა 3.1 | არაფორმალური განათლების, კულტურული, საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება; |
| ამოცანა 3.2 | სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის აქტივობების განხორციელება და მათი რესოციალიზაცია |
| ამოცანა 3.3 | ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებლად აბიტურიენტთა ხელშეწყობის სისტემის ჩამოყალიბება; |
| ამოცანა 3.4 | სოციალური სერვისების შეფასების სისტემების შექმნა და განხორციელება; |
| მიზანი 4 | მოსახლეობის მიგრაციის შემცირება |
| ამოცანა 4.1 | ადგილობრივი ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის შემუშავება და განხორციელება |
| მიზანი 5 | მუნიციპალური სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა |
| ამოცანა 5.1 | გაადვილებული წვდომა მუნიციპალური სერვისების მიღებისას(ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა) |

მუნიციპალიტეტს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გადაწყვეტილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები მიმართოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის, როგორც პოსტინდუსტრიული რეგიონის აღორძინებისა და ურბანული რეგენერაციისაკენ. აგრეთვე პრიორიტეტულია ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ზრდა; ტყიბულის მუნიციპალიტეტის როგორც წარმატებული ტურისტული ინდუსტრიის მქონე მუნიციპალიტეტის პოზიციონირება და მისი პოპულარიზაცია როგორც რეგიონალურ ისე საერთაშორისო დონეზე; მუნიციპალურ სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. საბოლოოდ კი ყველა აღნიშნული მიზანი ერთი მიზნის რეალიზებისკენაა მიმართული - შემცირდეს მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის მიგრაცია.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება გადადგმული კერძო-საჯარო დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბების კუთხით. ასევე, გეგმა ითვალისწინებს ადგილობრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მათი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე საინვესტიციო პაკეტების მომზადებასა და ბიზნესისათვის შეთავაზებას.

## 2.3. ლოგიკური ჩარჩო

<table>
<tr><td colspan="2">ხედვა</td><td colspan="5">ტყიბულის მუნიციპალიტეტი  განახლებული პოსტინდუსტრიული რეგიონია რევიტალიზებული ინფრასტრუქტურითა და  გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისებით .წარმატებული ეკონომიკური დივერსიფიკაციის წყალობით, ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლის მრავალმხრივი სტაბილური წყარო გააჩნია. გაზრდილია მუნიციპალიტეტის, როგორც სასურველი ტურისტული ადგილის ცნობადობა. შეჩერებულია მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა - მოსახლეობის მიგრაცია</td></tr>
<tr><td>მიზანი 1:</td><td colspan="3">ტყიბულის მუნიციპალიტეტის, როგორც პოსტინდუსტრიული რეგიონის აღორძინება და ურბანული რეგენერაცია</td><td colspan="2">მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) კავშირი:</td><td>მიზანი: 8,9,11,12,13,17</td></tr>
<tr><td rowspan="4">გავლენის ინდიკატორი 1.1</td><td rowspan="4">1.1: ახლად განვითარებული ურბანული სივრცეების რაოდენობის ზრდა.<br>1.2:მიტოვებული ინდუსტრიული არეალების რაოდენობის შემცირება</td><td rowspan="2"></td><td rowspan="2">საბაზისო</td><td colspan="2">სამიზნე</td><td rowspan="2">დადასტურების წყარო: .</td></tr>
<tr><td>შუალედური</td><td>საბოლოო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2024</td><td>2025</td><td>2027</td><td rowspan="2">მუნიციპალური ჩანაწერები, მიწათსარგებლობის დაგეგმვის ანგარიშები, პარტნიორობის ხელშეკრულებები, ინვესტიციები</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>1. განვითარებული ურბანული სივრცეების რიცხვი:2<br>2.მიტოვებული უფუნქციო ინდუსტრიული არეალების რაოდენობა: 3</td><td>1. განვითარებული ურბანული სივრცეების რიცხვი:3<br>2.მიტოვებული უფუნქციო ინდუსტრიული არეალების რაოდენობა:2</td><td>1. განვითარებული ურბანული სივრცეების რიცხვი:4<br>2.მიტოვებული უფუნქციო ინდუსტრიული არეალების რაოდენობა: 1</td></tr>
<tr><td>ამოცანა</td><td colspan="6">ურბანული რეგენერაციის გენერალური გეგმის შემუშავება და განხორციელება</td></tr>
<tr><td rowspan="4">ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:</td><td rowspan="4">გენერალური გეგმის დასრულება განსაზღვრული თარიღით;</td><td rowspan="2"></td><td rowspan="2">საბაზისო</td><td colspan="2">სამიზნე</td><td rowspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>შუალედური</td><td>საბოლოო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2024</td><td>2025</td><td>2027</td><td rowspan="2">მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ჩანაწერები</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>ურბანული  რეგენერაციის გენერალური გეგმის პირველადი პროექტისთვის გამოვლენილია ძირითადი მიმართულებები და განსაზღვრულია სტრატეგიების ძირითადი ჩარჩო</td><td>საჭიროებათა კვლევა' ურბანული რეგენერაციის გენერალური გეგმის პირველადი პროექტი დასრულებულია</td><td>სრულად შემუშავებული და დამტკიცებული ურბანული რეგენერაციის გენერალური გეგმა</td></tr>
<tr><td>რისკი</td><td colspan="6">შესაბამისი დაფინანსების ვერმონახვა და ფინანსური სახსრების სიმწირე</td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
